



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიის განყოფილება რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა

კავკასიის განყოფილება რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების პირველი რეგიონალური ორგანიზაცია. იდეა მისი დაარსების შესახებ გაჩნდა 1848 ბოლოს. პროექტი-დებულება აღნიშნული განყ-ბის შექმნის შესახებ დაამტკიცა რუს. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1850 წ. 27 ივლისს. პირველი საბეიშო დამფუძნებელი სხდომა შედგა 1851 წ. 10 მარტს თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში (ახლანდ. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე), თავმჯდომარეობდა მ. ვორონცოვი, რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა აღნიშნული განყ-ბის შექმნაში და თვითონაც მისი ნამდვილი წევრი გახდა. განყოფილება ფაქტობრივად წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რ-იც ეყრდნობოდა კავკასიის, კერძოდ, თბილისის ინტელიგენციის მონინავე ნაწილს. დამფუძნებლებს შორის იყვნენ ი. მ. ანდრონიკაშვილი, გ. მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი), ვ. ბებუთოვი (ბებუთაშვილი), დავით დადიანი, კ. თარხან-მოურავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, რ. ანდრონიკაშვილი და სხვ.

განყ-ბა მიზნად ისახავდა კავკასიის გამოკვლევას გეოგრ., გეოლ., ეთნოგრ., სტატისტ. თვალსაზრისით, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლას, კავკასიის შესახებ გამოცემული, თუ სხვადასხვა არქივსა და კერძო პირთა განკარგულებაში არსებული მასალების გამოვლენას. განყ-ბას ხელმძღვანელობდა განმკარგულებელი კომიტეტი. მისი წევრები აწყობდნენ სამეცნ. ექსპედიციებს, ამასთანავე იგი სამეცნ.-საექსპედიციო მუშაობაში ხელს უწყობდა რუს. და საზღვარგარეთის სამეცნ. ცენტრებიდან კავკასიაში ჩამოსულ მეცნიერებს. განყ-ბას ჰქონდა სამეცნ. ბ-კა, არქივი, მუზეუმი. მისი პერიოდული გამოცემები იყო: „ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა“ და „იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფი-

ჩესკოვო ობშჩესტვა“. მათში ძირითადად იბეჭდებოდა განყ-ბის ადმ.-ორგანიზაციული საქმიანობის ანგარიში და მისი წევრების მიერ ჩატარებული სამეცნ.-კვლ. მუშაობის შედეგები. განყ-ბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გ. ორბელიანი, გ. და დ. ჯამბაკურ-ორბელიანები, ვ. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი, მ. გერსევანოვი (გარსევანიშვილი), დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, მ. ჯანაშვილი, გ. წულუკიძე, ა. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ.; უცხოელებიდან – საქართველოს ეგზარქოსები ისიდორე (ნიკოლსკი) და ევსევი (ილინსკი), რუსი გეოდეზისტი, გენ.-ლეიტენანტი ი. ხოძკო, ინგლ. ალპინისტი დ. ფრემფილდი (შემდგომში საქართვე. გეოგრ. საზ-ბის საპატიო წევრი) და სხვ. 1917-იდან განყ-ბის საქმიანობა შემოიფარგლა მხოლოდ სამეცნ. სხდომებით. 1924 საქართვე. გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით განყბამ შეწყვიტა არსებობა.

ლიტ.: თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002; Знаменательная дата истории географического общества Грузии, გაზ. «Свободная Грузия», 2000, 27. VII.

გ. გიგინეიშვილი
